

ტყავის მრეწველობა „გაღლა“ იწევს

ნახ. ნადარეშვილისა.



ეს კი ის სანატორი დროა, როცა თვითმუხ მუქალაქეზი მღვა თითო პოკბუღი.

სურათები ყოფა-ცხოვრებიდან

გერმანული
გინეა-დონის



წინადადება, რომელიც... უარყოფილ იქნა „ერთხელ“.

საჩუქრეთ თქმა

(არაკი მშვიდობიანობის საკითხზე)

სიომა,
თომა
და
ერომა,
ნიკიტა
და
მალაჩი

მეზობლებთან იდგენ ისე,
რომ მხოლოდ თითქმის ღირდა.

სიომა, როგორც მოწინავე,
ქვეყანი და გამოცდილი,
შინ გამრჯელი მუყარით
და გარდაც — უფრო ზრდილი,
იყო მშვიდად და იღწვოდა,
არ ეჭირა თვალის სხეებზე,
როცა თომა წყალს ამღვრევდა
და იდგა შიგ, ვით მეთევზე!

„ჩუბის თაფი“ იგი იყო,
მეზობლების ჭკუის მრეცო;
სადმე ბედლის გამჭურდავი
თუ ღამეში ღობის მტკრევი...

და დილზე თითქმის სხეებზე
ანინებდა ზარალი მყოფს;
შედავება ვინც ჰკადრებდა;
მოუღერდა მუჭარით თოფს;
— რას მოქცია, ვის მიქცია
ჩემისთანა მშვიდი კაცი!

ჯერ სიმშვიდის მცველი ვარ და
მერე — ზავის აზარმაცი!

და ამ რიგათ, გარეგნულად,
ყო თომა მტრედზეც სუფთა,
როცა ევით ბედშავს სიომას,
ბევრჯერ გულიც დაუფუტა.

„ბედზე სიომას“ — ვამოხ, რადგან

მსგავს მეზობლის გადამკიდეს
მოსვენება არ ეწყრა:

დღე რაა, რომ ღამედ ღირდეს?

და ღამებზე ნასიძვე
თომა — კარის მეზობლის
დღისით ჰქონდა მას სარგად
და ზრომაშიც მშველელად ხელის...

და იფიქრა ერთ დღეს სიომამ,
იფიქრა და გადასწყვიტა:

მეზობლებს მრეცო ნელა
რომ შუაზე გაეკვირბა,

მათ მიმართა ასეთ თხოვნით,

მზანაგურ დაუფუტებით:

— „ვიპაც უფი გულს არ გიწვავთ

მოდამ ზეპირს აქავედით,

მოდიო, შევკრათ ეს პირობა,
პირიც ხელით განვამტკიცოთ:
მშვიდობა და მეზობლობა
ერთმანეთში რომ დავიცოთ,
იარაღი, ყოველგვარი,
მოვსრათ, მოვსპოთ, შავ-ბნელს მივსცეთ!

მეზობლური ხაზრუნავი
ერთმანეთში გაფუთ მტკიცეთ

და მშვიდობის საგულგოც
დავცოთ თითქმის თითო ღამით,

რომ ქურდობა, ავი საქმე
და ზარალი მოვსპოთ ამით,

რომ მეორე დღის ზრომაში
არ გვტკივოდეს ფუჭედ თავი,

წინა ღამის ნასიძვე
ნაცდეთი და ნაზრუნავი!

და პირობის ტექსტი ესე
გაუგზავნა პირველ თომას

ყველა კაცი, ხაზრანო,
ისე იწყებს თავის ზრომას,

რომ ჯერ მძიმე ასაწყველს,
ძნელ საჭერელს თუ ძნელ სატყელს

მიუღებდა იგი მკერდით
და მიატებს კი კვლავ სტაცებს ხელს

და თომაში რომ მიიჩნდა
სიომას ღვარძლის მეტი გუნდი,

მას მართავს ეს მიმართავს,
მომავალი ზავის თეზის!

ერომა, თუ ამით თომას
ჯერ ისედაც ააშენდა:

სიამაღ — ზოგადებს
მასში წაათამბრებდა;

„მეზობლა“ — „ქურდობა“, მთელ ორ „ქურა“
დღელს

დაიჭერდა ამ გზით იგი:
მეზობლებში ამით ზავის

გვარდებოდა თადარიგი,
რადგან მასხედ თუ კი თომას

დასტურით „მო“ ითქმებოდა,
ცხადი არის, მაშინ სხეების

შეთანხმებაც იქნებოდა.

თუ არა და, სანამ დასტურს
არ დართავდა ასეთ თომა,

ღამ-ღამით არ შესწყდებოდა
სამეზობლო — სამტროლ ძრომა!

მაგრამ... ვაი, ეს რა ესმის?
ეს სიომას ყურს რა სწვდება?

თომა ყურის, ცამიწას ხმარებს,
ჯან-ღონისგან სულ მთლად სცდები

ისე სწვის, ისე დაობს
და სიომას ნაბიჯს სწუნობს:

— ვინ არის ეს, რომ მეზობლებს
ასწავლის და ატყურობს?

რა პირობა მოუტანავს?
რა თადარიგს აწუხებს მაგი?

ხრანს, რომ ამით სურს ქარს მისცეს
ჩემი ზრომა და ამაგი!

მშვიდობის და ზავისათვის
თითქმის სიყრმე შემიწირავს:

ღამით ბევრი ავი კაცი
მინახავს თუ დამიპირავს!

მე ისედაც მტკიცედ ვდგევარ
საგულგოც თავზედ გზირად!

მე და სიომა, აქ ორნი ვარ
მეზობლები ამ გზის პირად!

(აქ სიომას „პირში ქება“
თომამ განზრახ მისთვის სცადა,

პირობის და ხელის წერის
ნაფლავება რომ ეწადა!)

— და ჯერ ერთი თომასათვის
მიეწარათა უნდა სიომას,

თორემ მე რა? რა ვუწოდო
უთავბოლო ასეთ ზრომას?!

ყვირის თომა და სიომას
მოწოდებას აგდებს ბანზე...

თუმცა იმან სიომას აზრი
მოისწინა ამ საგანზე,

რომ მშვიდობის მცველი თუა
თომა ისიც, უპირობო,

მამ, მით უფრო შევინს იმას
სულ მზად ყოფნაც სამშვიდობოთ,

და დაწერილ პირობაზეც
ხელიც პირველ მოაწერის,

ყვიროლით და სხვა ასეთით
საქმე რომ არ შეიეროს!

მაგრამ თომა მყვრის ისევ,
ერიომაზე ხელის შევიოთ,

რომ საქმეში ზავის წესის
ის მტრედია ყოველგვარი!

რომ ის ღამით, ღიან, ღამით
საგულგოც არ ზორობდა,

და „სჯერა“, რომ მეზობლებში
საქმე „ისიც გასწორდება“!

რომ მშვიდობის თადარიგზე
უკვე ზოგან მალასობა:

ხელის წერა თუ მთლის
პირობაზე — ეს აქიდანი!

რომ ქურდობას თუ სხვას ასეთს
აღეჭვთვის მალე ფუხს,

რომ, ამ მიზნით, არის ისიც
განუწყვეტელი ღამის მტრის!

ხოცარი არის მხოლოდ:
თუ რომ თომას უნდა ზავი,

ყოველ-დღეურ ღამის ტეხით
რად იწუნოს უნდა თავი,

როცა, ხელ-მოწერის შემდეგ,
ელის შვება და სიამე,

თუნდაც მით, რომ ხუთსაგან
სტეხოს (თუ სურს) თითო ღამე?!

მანირა

ვაი, ჩემო ღლეო!

ვაი, ჩემო ღლეო, რას მოესწრება კაცი! რა მინახავს და რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალები! რომ არ მოესწრებოდი ამ დროს კაი იყო, მარა მისით არ ამევიდა ავი ძაღლებული სული და ჩემით ვერ მევიგალი თავი! უწინ ბანკის არჩევნებზე და შავი ქვის ჭრებებზე ათი და თუთხმეტი კენჭი მქონდა და ამ უშველებელ კრებებს სითაც მინდოდა, იქით ვატრიალებდი! ვისაც კი მივადგებოდი ამ ჩემი კენჭებით სულ თავივით ვაწოუწუნებდი! ვისაც მინდოდა, გავათათოვებდი, ვისაც არა და სულ ყო-რანივით გავაშავებდი! რომ შეიქნებოდა პარტიების ქიჩავ-ქიჩავი და გამომიგზავნიდნენ შუაქაცებს, რომ „არა, მე ჩამიგდე შენი კენჭები და არა მეო“, მეც დავიანგარიშებდი და, ზითაც ხეირი იყო, იქით გოლოუძა-ხეიდი ჩემ კენჭებს. მერე შეიქნებოდა ზუთობა და ერთ კვირეს გოუწყვეტილვ ვქეიფობდით. ვაი, ჩემო ღლეო, რისი მომსწრე ვარ ახლა! ათი და თუთხმეტი ხმა კი არა, ნეტავი, ერთი ხმა დეცეტიბიენ ამ ბოლშევიკებს და სხვას არ ვჩიოდი. ხმაი კი არა, ვინ გვაგდებს რამეთ! გინდა ჩვენა ვყოფილვართ და გინდა შავ ძაღლს უყეფა! „შენო, ყოფილი თავადი ხარო, შავ სიაში მოძღვანიე-ბულიო და ხმაი არა გაქვსო“. მერე

და ამას იძახდნენ, რომე თანასწორობა, ავია სამართალი, რომე ხოსია სიკინჭალაშვილს ხმა უნდა ჰქონდეს და მე შავ სიაში ვიყვე მოძღვანიებული! ფუი, თავსლაფი დავასხი ამისთანა სიცოცხლეს და ასეთ კენჭობას! ბი-ჭო, ქე ვიცი, რომე წართმეული მაქვს ხმაი, მარა დაჩვეული ქე რომ ვარ ამ კენჭობას, ველარ მევითმინე და წავედი საბჭოს არჩევნებზე. შვევალე კარები, დევიკრიფე გულხელი და ვარ ჩემთვის გაჩერებული ისეო ქრისტეს ჯოროვით! ასახელებენ კანდიდატებ-ბათ საბჭოში ვინცა: პეტრიას, ბასი-ლას, ევტინიას, სოგრატის და, ერთი სიტყვით, ვინცა ლარიბ-ლატაკებს! ავერ ჯის ჩვენი სოვეტია დიდებუ-ლიძე, ძველი მრეწველი, გამოქეტი-ლი და გამოჯანგული! უყურე ერთ-ხანს, მე ესთქვი დასახელებს ვისცა სოვეტიას თქვა, მარა კაცი არ იღებს ხმას! აღარ მომითმინა სულმა, მიეწი-მოეწიე ხალხი, გაძვერ-გამოძვერ, დავტრიალდი ძველებურად და ერო-ვინცა ახალგაზრდას წოულაპარაკე, რომე დაასახელებს სოვეტია დიდე-ბულიძე თქვა, თუ ვინდა რომე აცვა-დეს თქვენი საბჭო თქვა. ავერ, ამაო რომ ველაპარაკებოდი, უკაიიდან ვინ-ცამ დაშავლო ხელი ქეჩოში და რა-ვარც ბულითი, ისტე მისროლა გვერ-დზე! „შენო კულაკი ხარო, შავ სია-ში ჩაწერილიო და აქანა რომ დაძე-რები, ვინ მოგცა ამისი პრავაო!“ კუ-

ლაკი, რომ გეიგონა ამ ხალხმა, ერთი იძვრიალა და ამ შევიდაშე-კაცენ ურ-თალ მომაყვირა: „გაეთრიე აქედანო ავღდექი მაშინვე, ამევიძუე კული და მოვდივარ. ორიოდე პანლურიც მო-მაყოლეს უგან და გამომავდეს გარეთ! ვაი, ჩემო ღლეო, რას მოესწრება კა-ცი! მამული წამართვეს, სახლები, წო-დება, ხმაიც ქე ამართვენ ზევით და ვარცხვინე ამისთანა სიცოცხლე! თუ ასეთი დროი მომელოდა, დედაჩემს რომ გავწყალებოდი მუცელში არ მე-ჩიია! მერჩია, ჭეშმარიტათ რომ მეო-ჩია.

ვაი, რავა მევიჯაყე და დამეფსო ორივ თვალი, დავალ ქვეყნად შერცხვენილი: არც კვდარი და არც ცოცხალი!

—:—

არც წოდება, არც ღირსება, დამატხებს თავზე მეხი, ხმას მართმევენ მე, ძველ ბატონს მთავრობაში გადის კლები!

—:—

ვაი, რა ცოდომ გვიწია, რატომ გაწყრა ჩვენზე ღმერთი... ათი კენჭის პატრონს ნუ თუ აღარ მქონდეს მე ხმა ერთი! ყველა ზიზლით შემომყურებს, წაქცეულს და დავარდნილსა. ფუ, ამ ყოფას, ამ სიცოცხლეს: თავლაფდასხმულს, შერცხვენილსა!


გოგია.

„გაუპი-კაკაბი“

ნახ. მარიაშის

„ინგლისისა და ამერიკის მეტოქეობა თანდათან ღვი-ვდება... მოახლოვებულია „მსოფლიო დრამა“, რომელიც გათამაშდება მწყნარ ოკეანეზე“.

დებეშებიდან.



ნავდვილად კი... ოკი გეუპაი! უნდათ: ერთმანეთს როგ უჩნან ულაკი!

ს. ამაღლება

მგრუნველი ხელი

ბიჭოძე-დონაძე

თავმჯდომარე:—ამხანაგებო, პრეზიდენტის სხდომას გახსნილად ვაცხადებ და ჩემს მოკლე წინასიტყვაობაში წინასწარ ავღნიშნავ შემდეგს: მართალია, ჩვენი ყოფნის დროს ე. ი. ამ ორი წლის განმავლობაში, ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია, მარა სამაგიეროდ, არც რამე, ამ მხრივ საკითხი ამოწურულია. (სიჩუმე). უკაცრავად, ამხანაგებო მომავალ საბჭოს არჩევნების შესახებ სიტყვა ეკუთვნის ამხ. ბუ—ძეს.

ბუ—ძე:—ამხანაგებო, მოგეხსენებათ, რომ დეკემბრის თვიდან უკვე დაიწყო საბჭოების გადარჩევის კამპანია, რომელიც ჩვენ არ ჩაგვიტარებია. ჩვენთან მხოლოდ მოხდება საბჭოს ახალი არჩევნები. არჩევნების დროს ჩავატარებთ საბჭოს მუშაობის საანგარიშო მოხსენებას. ამით ჩემს მოკლე მოხსენებას ვამთავრებ.

პრეზიდ. წევრი დ—ლიძე:—ყველაფერი ყველაფერია, ამხანაგებო, მარა, რა უნდა ვუთხრათ გლეხობას, როცა არაფერი გაგვიკეთებია?! დასწყევლა ღმერთმა, ახლა მოიგონეს თვითკრიტიკა და ერთი ამბავი. რომ მომჯდება ზურგზე, ბიძია, ეგი ყაზირალები, სულ სიქეს და ტყავს გამაძრობენ მელიტონ ჯიბუტის ცხენივით; ისე სხაპა-სხუპით მოგცხებენ სიტყვებს, რომ ენა აღარ გეჭნება სალაპარაკო; შენ უძაგუნე თავი პაველი ზამბახიძესავით.

თავმჯდომარე:—ამხანაგებო, ძალიან მიკვირს თქვენი საქციელი და ასეთი შიში! მე წინასწარ ვიცოდი, რომ ეს ასე მოხდებოდა, მარა, სამაგიეროდ, ოინები მეც მოვაწყვე: საარჩევნო კრებას მოვიწვევ ავდარში და ხალხი არ დაგვესწრება, რადგან აქ მოსვლა დარშიაც შეუძლებელია, თორემ ავდარში ვინ მოვა გზის უქონლობის გამო. ასე და ამნაირად ისევ ძველი საბჭოს წევრები დავრჩებით არჩეული და არჩევა აღარ დასჭირდება.

საბჭოს წევრები:—(ერთად) ყოჩაღ, ყოჩაღ! არ გითხარი მე ნამდვილი სათაემჯდომარე კაცი არის-მეთქი!

თავ—ჩე:—ამხ. კრებას დახურულად ვაცხადებ, მხოლოდ ეხლა წავიდეთ გლეხკოში, თითო კვარტი ღვინო გადავკრათ და ცოტათი შეგმხიარულდეთ.

ჩანჩალა.



— არ შეგცივდეს, მარიკა!

— არ შეგცივდეს, თამარიკო!

მემაგრუნვენი კოეზიკა

სიცივე მოასკდა ცისფერ ფანჯრის მინებს,
ოთახში შემოვიდა ღამე ბაყაყივით;
თავში უცნაური ფიქრი მიხიცივნებს,
ქარი გახვინტრიცდა და მამალი ყივის...


—:—

მეღამ კრებაა ჯვარის მონასტერში;
ღამურების, ვირობების, ხელიკების, ველების..
აქ გამოსადეგი არ ვარ არაფერში.
მე წარსულს შევყურებ და თავზე ვეფლები..
ზაპესმა მრავალჯერ ჩამარტყა ნისკარტი,
ერთ დროს მეც ვვალაბნიდი სტროქონებს გვარიანს;
მინდა გადავკრა, ვითამაშო კარტი.
რა ეჭა, რომ თვალეზზე ნისლი მაფარია?!

თანადროულობა კისერზე მაჯდება
მირტყამს და მირტყამს მაგარ მუჯღუგუნებს,
ვატყობ თან და თან: ტვინი მილაყდება,
არ მესმის, ქარზნები ირგვლივ რომ გუფუნებს..
ზაპესს მირჩევნია მე მღვდლის ანაფორა,
თავადის ძველ ჩოხას მთლად ვენაცვალები..
პოეზიის მზე ვარ, თუმცა-ღა მუშგორად
ერსად გამოვდექი, რაც არ ვეწვალები!..
ღამურების კრებაა ჯვარის მონასტერში,
ცაზე ქარივით გადაცურდა წერო.
მე გამოსადეგი არა ვარ არაფერში
მზად ვარ, რომ სიკვდილზე ხელი მოვაწერო!..

რეტინი.

ნაბ. ღონის
ქარაქმული
გაზეთი
ლონი.



— დააკვირდით! ჩვენი თავმჯდომარე უწინ ამ შეკრებაზე ერთ ღერ სიტყვასაც არ გაღივებდა პახუხაძე დღეს კი ერთ უბრალო შეკრებაზე ადრე მთელი საათია ლაპარაკობს!
— ეს ხერხი ადრე უნდა ეხმარა, თორემ ახლა თავს ამით მაინც ვერ აგვარჩევიან საბჭოში.

ს ა მ რ ე ლ ი ა

ეს ქალაქი ველარ შესძრა დროებამ,
თავისებურს ის ატარებს სახესა,
და არ მინდა იმის განმეორება,
რაც მივეცი ჩემი ლექსის მწახველსა.
დეკემბერმა გაიარა დარებით,
მზის სხივები ეფრქვეოდა არესა!
იანვარმა გააჩინა ქარები—
დაგვამგვანა ქვრივს და მგლოვიარესა.
და ქუჩები კიდევ არ გვაქვს ქუჩებად,
ტალახებში ვცხოვრობთ დღით და ღამითა!
ბედნიერი ზამთარს გადაურჩება—
არ გვშორდება ფიქრი ერთი წამითა.
აღმასკომზე ბევრჯერ იყო მზილება
და ველოდით მისგან ხსნას და შველასა!
შარმანდელი ახსოვს გამოცდილება—
დღესაც იგი კარგად გვახსოვს ყველასა.
სიმართლისთვის ვერაფერ ვერ შემაშინებს,
მას შევეწირე წუთები და დღენია!—
მსურს მოუთხორო დაწვრილებით კავშირებს,
რაც გვაწუხებს და რაც მას არ შვენიერია.
დაინიშნა თავმჯდომარე თერთმეტი,
ზოგი ათი, ზოგი ოცი წევრებით!
რომ ეთქვათ სიტყვა არც ნაკლები, არც მეტ-
მოკვდებიან მთქმარებით, ან ხველებით.
სასამართლო, სამართალი, სიმართლე,
ეს სამივე განუყრელი ძმებია!
გეჟილებმა სხეანაირად „ინათეს“
და გავრცელდა რაღაც ჩუმი ხმები.
გაუფიქრებლად, გატყეობილი სჯობია —
დღეს ქალაქი ნადგელობითა იცხება!
უნდა დაევდოთ, რაც კი დასაგმობია,
უნდა დაევდოთ, მათი „წახალისება“.
ქარხანაზე ბევრი ითქვა სიმწარე,
გაზეთებიც შევაწუხეთ ბევრჯერა! —
უფროსებმა ერთმანეთი იწამეს
და მუშის ხმას აქ არავინ უჯერავს.

შტატი ველარ შეაჩრჩინა თავიდან,
ოჯახიდან სამი — ოთხი წევრია!
(გულში ცეცხლი, სიცხე თავში ავიდა
და დარდები სამუდამოთ მწვევია).
არ აკლია კულაკისა შვილებიც
(სიმართლეა და სიმართლეს არ ვფარავ)
შეძლებულებს ანაცვალეს მშვიდრები,
რომლებიც რომ სევდა - ტანჯვით დამწვარიან.
მოპყრობაზე ლაპარაკი მეტია—
უფროსები ღვანათ „კვერთხით“ ხელში!
მობრძანდით — პროტექციას ეტყვიან —
არ გიგიწყებთ შენ, ჩვენს სიცოცხლესა.
დავიჭიროთ „გოლსტრაზი“ — სკენ თვალები
და გაფანტოთ სიბნელე და ნისლები!
კოწიასა ვკადროთ სიტყვა კრძალებით:
გვეყო თმენა, ძმაო, რად არ იცვლები?!
ძალადობა მოვსკეთ ძალით ძლიერით
და სოფელმა იგრძნო თავისუფლება!
შენ, გლეხებში კვერცხების ძიებით
არავინ მოგცემს ჯილდოსა და უფლებას

(ღმერთმა ნუ ქნას) ნუ ინებოს ბუნებამ,
აეად გაზღე ამ ჩვენს არე-მარეში!
ვერ მოასწრო მგონი გადარბუნება,
ვერც შეხედვა მშობლებისა თვალებში.
აფთიაქზე ხმები ყურებს აყრუებს —
წამლის გარდა შიგა ყველაფერია.
დღე და ღამე, თუ გსურს მუდამ უყურე.
სანამ აღარ შეგეცვლება ფერია.
გებვეწები: სული მიწებს ძალიან,
ნულარ მომკლავ და მიშველე ძამია!
შემიციოდეს: ვიი შენი ბრალია,
ჩვენ გვაქვს მარტო იოდი და ძმარია.
გამეცინა. (თუმც ვარ დანალონია),
ამის შემდეგ აღარ მოვკვდე მგონია.

კავნელი ზიკა.

თელავის სახანძრე რაზმი

მარკოშვილი
გიორგი



— რა ამბავია! საით გარბიან ესენი?!

— ვერა ხედავ? — სახლი იწვის და შეხანძრეებს კი წყალი არა აქვთ.

აგრძელაური

რაზმის მაზრა

აღმასკომის თავმჯდომარე
ყურს არ უვდებს გლეხებს.
თვითონ ძმობილ მიკიტანთან
ათამაშებს ფეხებს.
აბა, მას რა ენადღვლება
თუ ხალხი ელის.
ღვინოს ხუხავს, ტბილიდ მღერის,
ქავილი აქვს ყელის.
კოოპერატივს განაგებს
ვლადიმერი ჩვენია.
დუხებით და პუდრებით
თარო დაუმშენია.
ხშირად დადის ქალაქში
ერთი-ორი კვირითა.
(ეჰ, ვინ იცის რამდენჯერ
ასე გაიჯირითა),
უნდა ნახოთ, როცა ის
ტფილისიდან ბრუნდება.
მის სატრფოთა გულები
თავდაყირა ბრუნდება.
ბანკის გამგეს ღვინო უყვარს.
და ქეიფობს ხშირად.
უნდა ითქვას სიმართლე, რომ
არ უვდებია ძვირად:
გლეხის ნაცვლად კულაკს აძლევს
სესხად ბანკის ფულებს;
ეს მიტომ, რომ მას კულაკი
აქმევს მოხარალოებს.
ტარტაროზო, აწ შენ იცი.
გაგაცანი ყველა.
შენ იცი და შენ ბიჭობამ.
თუ გვადირსო შეველა. ისლი.

ჩოხატაური

ცუდი არვისთვის მიქნია,
ვუყავი ჩემთვის მშვიდათა,—
მაგრამ გავბრაზდი და მიწა
წოგი გავსლიო შეიდათა.
ჩამოვიარით ჩვენს თემში
და ვნახოთ რა ამბავია.
ვინ როგორ საქმეს ეწევა,
საქმე კარგი თუ ავია.
პირველად ვიწყოთ ფოსტიდან,
მათ უთხრათ სიტყვა ასეთი:
ერთი კვირაა, ჩემო ძმავე,
არ მოგვიღია გაზეთი!
ჩისტვის ინახავ თვეობით?

რაში გჭირდება ამდენი?
ცდებით — თუ ფიქრობ გაზეთში
არის რამ გამოხადენი.
ეზომ ვაჭრები აყარა,
დააცდევინა დარაბა,
სავაჭრო გააფართოვა,
ასტეხა დავი-დარაბა;
გამართა მთელი პასუხი
რვა დარაბისგან შემდგარი,
დედა უტირა ყველას და
ბრძოლაც დაუწყო მედგარი.

ელგუჯა.

ოხ თავო ჩეჩეხე

დღეგეტს ოჯახი, ვინცამ თბი-
ლისში ცხოვრება ინატროს. ცოლი,
შვილი, ბებიე, ბაბუე, სიდედრი, სიმამ-
რი, დიდი ძმა, ცოლის ძმა და ცოლის
და, ყველე ჩემდა ასაოხრებლად გაჩე-
ნილა ამ ქვეყნად. თავიდან თვარ და-
გიკაკლეთ, ისე ვერაფერს გავაგებ-
ნებთ ვერაკაცს. სამი წელიწადი და-
კანკალდა, რაც ქალაქში ჩამოვტე-
ტერიდი. კარგი ნაცნობებს ვენაცუ-
ლე, ადგილი მაღე მიმოვინჯე.
ვნახოთ — ერთი გოგოც შემეყვა-
რდა. (გოგოს თქვენთან ვლაპარა-
კობ, თვარა ოცდა ცამეტი წლის
შარშანწინ ყოფილა). ჰოდა, აი, ასე-
თი ქალიშვილი შემეყვარდა. ჩავხაქ-
სდი. გავიდა სამი თვეი თვარა წამე-
ებერა უწნოთ მუტელი, მეცხრე თვე

შე ქე დალოვინდა. აგვისტოში მეს-
ტუმარა სიდედრი და სიმამრი.
ერთი კვირე ისე მომხარ-
ჯენ, რომ ხუთი თუმანი ჯამაგირს
ზევით დემედო წარმოგების ვალი.
დადგა სექტემბერი — ჩამობრძანდა
ჩემი და და ჩემი ძმა. აგენსაც სამი-
ოლე თუმანი წაეხარჯე. ის კინალამ
დამავიწყდა — როცა სიდედრი და
სიმამრი გაუშვი სახლში — ცოლმა
თავისი ენის მოქნილობით, ქრთიზა
კაბა გამომატანია კრედიტში და მე-
ორესათვის — სახალხო. ოქტომბ-
რის თვეში ერთი თვით ჩამომესა-
ლა ცოლის ძმა და ორი ცოლის დე-
ბი. აგენის სტუმრობა გასტანა ერთი
თვე და — თუ რამდენ ავანს გამევი-
ტანდი, კი მიხვდებით. ძნელოლო.

ქმარები და გვარები

ქართული
ენის ლიტერატურა

ამას წინათ ტფილისის საღვთ-
ზე ჩემს ნაცნობ მანდილოსანს შევხ-
ვდი, რომელსაც თან ხუთი-ექვსი
წლის ბიჭუნა ახლდა და სახალხო მა-
ტარებლის მოსვლას უცდიდა.

— სონას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოთ! — ცივად მიპა-
სუხა მან.

— ვერ მიცანით? მე დომენტი
ვარ, მისსუ...

— არ მახსოვს... იქნებ გემლე-
ბათ... იქნებ სხვა სონას იცნობთ.

— მე დომენტი ვარ—მისსურაძე.
აღარ გახსოვთ ქუთაისი? თქვენ ხომ
სონა ხართ, სონა კეთილაძე, გრი-
გოლ კეთილაძის მეუღლე.

— ახ, დომენტი ხართ? რა ხანია
აღარ შემხვედროხართ. მიკვირს, რომ
აღვიღად მიცანი... მაგრამ მაინც
გემლებათ...

— რა გემლებათ?

— ისა, რომ მე კეთილაძე აღარა
ვარ.

— როგორ?

— კეთილაძე ჩემი პირველი მე-
უღლის გვარია, რომელთანაც მე უკ-
ვე აღარ ვცხოვრობ.

— დამოვრდით?

— დიდი ხანია. კეთილაძის შემ-
დეგ მე ყვინჩილაძეს გავყვები.

— არა.

— არაფერი მესმის!

— ჩვეულებრივი ამბავია: ყვინჩი-
ლაძეს გავშორდი და მესამედ გავთ-
ხოვდი.

— მაინც რომელია ახლა თქვენი
გვარი?

— ახლა მე ჟუჟუნაძის გვარს ვა-
ტარებ.

— ჟუჟუნაძე?!... მომითმინეთ...
მეცნობება... ის ჟუჟუნაძე ხომ არ
არის თქვენი ქმარი, ჰამბრესტში
რომ მსახურობდა?

— როდის? რომელი ჟუჟუნაძე?

— ბესო ჟუჟუნაძე. ფული რომ
გაფლანგა.

— არა; არც კი ვიცნობ. თანამო-
გვარე ყოფილა. ჟუჟუნაძე ჩემი ქა-
ლიშვილობის გვარია. როდესაც მე-

სამედ გავთხოვდი, გადავსვიტე,
რომ ისევ ჩემი ქალიშვილობის გვარი
მეტარებია. ჩემი ქმარიც, ცხადია,
დათანხმდა და სხვადასხვა გვარებს
ვატარებდით.

— როგორ თუ ატარებდით? მესა-
მე ჯვარიც გამოიცვალეთ?

— მერე რა ვუყოთ! ქვეყანაზე
არაფერი არაა მორალული. ყვილა-
ფერი იცვლება. ქმრებიც იცვლე-
ბიან...

— და ქალებსაც იცვლიან—რო-
ნიულად დავუმატე მე, ჩემი თანამო-
საუბრის კილოთი გათამამებულმა
და მცირე პაუზის შემდეგ ისევ შე-
ვეკითხე:

— რომელ გვარს ატარებს ახლა
თქვენი ჩაჟი? კეთილაძეა, ყვინჩილა-
ძე, თუ ჟუჟუნაძეა ვატარებთ
„მამ“ის რეგისტრაციაში? ან იქნებ
მეოთხე ქმართან შეგეძინათ.

— ამ ბავშვის გვარი გაფრინდა—
ლია.

— მაშ თქვენი ახლანდელი ქმარი
გაფრინდა—ყოფილა. ნეტავ,
რომელია? იქნებ ნაცნობია? ჩვენი
კუთხიდან ყოფილა!

რომელი ქმარი! აგერიათ. ახ-
ლანდელი ჩემი ქმრის გვარი ყბედი-
ანია. ეს ბავში ყბედიანის მესამე ცო-
ლის ვაჟია. მე კი მეოთხე ცოლი ვარ.
ორი თევია, რაც ყბედიანი მესამე
ცოლს გაშორდა და ჩემთან ცხოვ-
რობს. ბავში კი ისევ დედის გვარს
ატარებს...

— ამერია, სწორედ ამერია. ამ-
დენი გვარებია... ერთი მითხარით,
რა გვარის იქნებიან თქვენი მომავ-
ლი ბავშვები?

— წინდაწინ განსაზღვრა ძნელია.

— მაშ, უგვაროდ დარჩებიან?

— სულაც არა. ათასი კანონიერი
ან უკანონო გვარი მოინახება. მათი
გვარები იმაზეა დამოკიდებული, თუ
როდის ვისგან და რა პირობებში
გაჩნდებიან. აი, მაგალითად: მე ექვ-
სი თვის პატარა გოგონა მყავს. ის
მესამე ქმართან დამოვრების შემდეგ
გაჩნდა, მაგრამ მანამდე, სანამ მეოთ-
ხეს გავყვებოდი; ამიტომ ის ბავში
ჩემს გვარს ატარებს.

— მაშ, თქვენი პატარა ქალის გვა-
რი ჟუჟუნაძეა?

— არა.

— მაშ, როგორ არის. თუ თქვენი
ქალი თქვენს გვარს ატარებს, ესე იგი
ჟუჟუნაძის ქალის გვარს, ჟუჟუნაძე
უნდა იყოს.

— მართალი ბრძანდებით, ჩემი ქა-
ლი ჩემ გვარს ატარებს, მაგრამ მა-

შინდელი ჩემი გვარი ყვინჩილაძე
იყო და ჩემი ბავშიც ყვინჩილაძის
გვარზე დავსწერე.

— გაუგებარია. თქვენ თვითონ ამ-
ბობთ, რომ თქვენი ქალი მესამე
ქმრის განშორების შემდეგ გაჩნდა.

ყვინჩილაძე კი თქვენი მეორე ქმრის
გვარია.

— მე მაშინ სწორედ მეორე ქმრის
— ყვინჩილაძის გვარს ვატარებდი.

— აჰი აღნიშნეთ, რომ მეორე
ქმართან განშორების შემდეგ ქალი-
შვილობის გვარს ატარებდით!

— მართალია. მესამე ქმრის ხელ-
ში ქალიშვილობის გვარს ვატარებ-
დი. როცა მესამეს დავშორდი, ისევ
მეორე ქმრის გვარი ავირჩიე.

— მაშ, ახლა თქვენც ყვინჩილა-
ძე ხართ?

— არა, ყვინჩილაძე მეოთხე ქმარ-
თან შეუღლებამდი ვიყავი. შემდეგ,
ისევ ქალიშვილობის გვარს დავუ-
ბრუნდი. ჩემი პატარა ქალი კი, ცხა-
დია, ისევ ყვინჩილაძეთა დარჩა.

— მაშ, თქვენ ოჯახში რამდენი
წევრიც არის, იმდენი სხვადასხვა
გვარი ყოფილა, ესე იგი, სულ ოთხი
მოქალაქეა და ოთხი სხვადასხვა გვა-
რი აქვთ.

— ტყუილია. სცდებით. ჩვენს
ოჯახში სულ ექვსი წევრია და გვა-
რი კი ცხრამდი აღწევს.

— ეგ კი წარმოუდგენელია.

— ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა:
ჩემი ქმარი მსახიობია. ამიტომ მას,
როგორც ხელოვნების მუშაკს ორი
გვარი აქვს: ერთი ნამდვილი და მეო-
რე ფსევდონიმი. მისი ნამდვილი გვა-
რი უბედაძეა, ფსევდონიმი ფოქატ-
როტელი.

— ეს ექვსი გვარი და ხუთი მოქა-
ლაქე. დანარჩენი?

— მეექვსე წევრი ჩვენს ოჯახში
ჩემი შულია. მასაც სამი ქმარი ჰყავს
გამოცვლილი: მაზუბაძე, ქაფაძე და
ყანწიშვილი; რადგანაც სამივესთან
აქვს აღძრული საჩივარი ალიმენტის
შესახებ, მათთან მტკიცე კავშირის
მოსაჩვენებლად სამივეს გვარს ატა-
რებს.

— მაშ, თქვენი შულის გვარი მა-
ზურკაძე — ქაფაძე — ყანწიშვი-
ლია?

— ქალიშვილობის გვარის მიმატე
ბა დაგავიწყდათ: ყბედაძე — მა-
ზურკაძე — ყანწიშვილი.

— საკვირველია, რატომ არ გერე-
ვათ ამდენი გვარები!

— არაფერიც არ არის გასაკვი-
რველი. მე ერთი ნაცნობი ოჯახი
მყავს, სადაც ხუთ კაცზე ოცი გვა-
რი მოდის: მინდაძე — წეროძე —

ცხვედიანი — ასამბაძე — ცქიტიშვი-
ლი — ბრეგაძე... სად მიდიხართ? მე
არ გამითავებია... მომძახა მან უკა-

ნას ენგლად. მაგრამ თავი ისე მოეჩვენ-
ნე, თითქმის არაფერი მესმოდა და
პერონისკენ გავიქცე.

მელუზა.

— გემარჯობა!
— ღვთიის ნუალობა!

დასავლეთის საზღვარზე დაგ-
იზნაბს წითელარმიელი. თოფი იღ-
ლიაში ამოუტრია და უსტვენს დარდი-
მანდულათ. მაინც მოეწყინა ვაჟაკს
მარტო ყოფნა. მაგრამ შორს, საზ-
ღვარს იქით მოსჩანს პოლენელი მხე-
ღარი. ისიც მარტოა. ბო ალბათ მოწ-
ყენილიც არის.

წითელარმიელმა გასწია მიხკენ სე-
იროზბით, სტვენით, ბოლოს მიუახ-
ლოვდა კიდეც.

— ეი! ძმობილო! გამარჯობა შენი!
პოლონელმა მხედარმა უნდობლათ
აჭხედ-დაჭხედა წითელარმებებს.

— ეი! ძმობილო! მუნჯი ხომ არა
ხარ? ხმა ამოიღე!

— რა? რა გინდა?

— გამარჯობა მეტეო, ვერ გაიგე!

— გამარჯობაო?! დარცა! ეხლავე!

აქ პოლონელი მხედარი საჩქაროდ
შოახტა ცხენს და ქუდმოგლეჯილი
ვით გაშკურცხლა—საით?

წითელარმიელს უკვირს პოლკმენ-
ლის ქცევა. უფურებს იმის ბუზანკალ
შემჯდარივით გაჰყნებულ ცხენს და
თან წითწითებს გულისანათ.

კოლონელმა ბეგრი აქენა თუ
ცოტა აქენა როგორც ეჭნა მიაღწია—
პარიზამდის. მიაღწია და იძახის გულ-
ამოვარდნით:

— ხალხო! ჟამათონო! დაუფერებე
ლი ამბავი მოხდა დედაშიწაზე: წი-
თელარმეილმა გამარჯობა მი-
თხრობ. წარმოვიდგენიათ წითელარ-
მიელიზაგან გამარჯობა! მე, რასაკვი-
რელოა ხმაც არ გამოცია. მაშინათვე
აქეთ გამოვყურცხლე რომ შეგვეთი-
ხოთ: ვუძახლო თუ არა—გაბიშარ-
ჯოს შეთქი?

ბრიანმა შუბლი შეიკმუნა. პუან-
კარეს ღოჭები გავიერა. დუმერგი თა-
ვიდან ფეხებამდის გასივდა.

საჩქაროდ მოწვეულ იქნა დიდ ბრძოლებში ნაცად დენერლები და ხტრატეგების თათბირი: წითელარმიელის გამარჯობაზე პოლონელმა მხედარმა უპასუხოს თუ არა—გაგიმარჯოს.

ბევრი იმსჯელებს თუ ცოტა იმ-
სჯელებს, დაადგინეს:

„რომ წითელარმიელმა იპვის თვალით არ შეხედოს, პასუხი უეჭველად უნდა მიეცეს გამარჯობაზე. მაგრამ რომ მართლა არ მიეცეს მას გამარჯობა, ამიტომ საჭიროა უფრო მეტი შეხარაულება სიფრთხილისა და წინდახედულობის თვალსაზრისით“.

მართლაც თვით, წარბაწნით
და წამებურაკით კარგად შეიარაღებუ-
ლი პოლიციელი მხედარი როგორც იქ-
ნა დაბრუნდა თავის ადგილას.

წითელბარძიული დასეირნობს
ისევ მშვიდად, ძველებურად.

პოლონელი მიუხაზლოვდა და ეუბ-
ნება:

—გაგონებას ჯერა!



546. შარვაში

„მტრადები“:— ღუ-ღუ ღუ! ღმერთო ჩემო, როგორ გათხუპნუ-
ღა6?!

„ბილუგავები“:— ყიჭ-ყიჭ-ყიჭ!.. უუუუ, რა რიგ შეიხუბნულან?!

წითელარმიელი გაცემით უცქე-
რის:

— რას მეუბნები? გაგმარჯღოს?

— ჰო! ამასწინეთ რომ გამარჯვება
მიტხარი, მეც გეუბნები—გაგიმარჯვოს
მეთქი. აქ წითელარმიელს ისეთი სი-
ცოლი წასკდა, რომ მუცელს ძლივს და-
იმაგრებდა.

— შე დალოცვილიშვილო მერე ამ-
დენს ხანს მოუწდი იმის ფიქრსა, გა-
მარჯობა გეტყვა თუ არა!

და ისევ იცინის, იცინის რაც ძალი
და ღონე აქვს.

ამ მხიარულ სიცილში წითელარმი-
ელს ვხვდებიც დააცემინა.

პოლონელი მხედარი ერთ წუთს შე-
ფიქრიანდა. შემდეგ ისევ მოახტა
ცხენსა და გაჰყურებდა ძველი გზით

წითელარმიელებმა რომ გულის მოი-
თქვა, თვალი ძლივსღა შეავლო მხო-
ლოდ ბოლონელოს ქუდსა და ცხენის

კუდსა. გაცემულია კაცი: ნუ თუ
ცხვირის დაცემისა შეეშინდა და ჩი-
ტომ გაიქცა! ნაცარქიქია ზომ არ არის.

პოლკოვნიკი მხედარი კი ისევ
გულისხეთქით მივარდა—პარიზში.

—ხალხო და ჯამათო! წითელღარბი-
ელმა ცხვირი დააცემინა, მაგრამ რად-

გან მე არ ფიცადი, საკავშირო თვალ-
დაზრისით და მოლოწევის კეთილ-

დღეობისთვის მისაღები იქნებოდა თუ

არა—ვერ ვუპასუხებ— „ღვთისწყალ-
ლობა“ მეტკი. ენლა მითხარით,
როგორ მოვიტყე? ვუთხრა თუ არა
წითელარმიებს „ღვთისწყალობა“?

ამოძრავდენ მინისტრები, დეპარტამენტის უფროსები, დეპუტატები.

რადგან საკითხი შეეხებოდა ღმერთსა და იმის წყალობას, ამიტომ მოწ-

ვეულ იქნა საგანგებო თათბირი კარ-
დინალების, ღვთისმეტყველების ბრ-
ფესორების, კეთილშობილწამუნე კათო-
ლიკების და სახელმწიფო მოღვაწე-
ბის.

დაიხარჯა ცოტაოდენი სიტყვა (სულ
ილაპარაკა 500 ორატორმა), ცოტა-
დენი ქაღალდი (სულ 9.000 თაბანი),
ცოტაოდენი დრო (1000 საათი) და
ბოლოს დაადგინეს. რა დაადგინეს?

„ყოველ ცხვირის დატეხილებაზე
ყოველ ბატილსანმა აღამიანმა უნდა
შეპასუროს „ლოდისწყალობა“. სამწყუ-

ზაროდ, ზრდილობის წესით პასუხი
უნდა გაცეს წითელარმიებლაც მაგ-
რამ იმას ღმერთი არა სწამს და არც

ეკუთვნის ღვთის წყალობა. მაინც
წითელარბიელმა, რომ ნამეტანი საე-

შვალ არ მიიღოს სიჩუმე—პასუხი აუ-
ცილებულია, და რადგან ღმერთი ურ-

წმუნოს არასოდეს არ შეეწევა, ამი-
ტომ წითელაპიჯელის ცხვირის ღაცე

მინებაზე უცნებლა, შეიძლება ებახუ

ნახ. აბ. ქუთათელაძის.

„სოფ. ამბროლაურის ტყეში გასასწავლათ
მისულ ქალებს ეარშიყება“.

(გაგვიხილავს)
ეკიმო-ნი
გიორგიოთა



— ეკიმო, თითი გავიჭერი
— გაიხადე ტანზე.. გაგსინჯო!

ნახს—„ღვთისწყალობა“. სულ ერთია
ღმერთი უღმერთოსთვის წყალობას
მაინც არ გაიმეტებს“.

გამოცდილმა სტრატეგებმა კი თა-
ვანთ მხრივ შემდეგი შენიშვნა ჩაუ-
მატეს ამ დადგენილებაში:

„ღვთისწყალობა კი ეთქვას, მაგრამ
ყოველ შემთხვევისათვის მაინც საჭი-
როა შეიარაღების უფრო მეტი გაძ-
ლიერება, ერთიც ვნახოთ ღმერთმა
მართლა მისცეს წყალობა, მაშინ ვილა-
დაუდგება წინ წითელარმიელს?“.

და ზედმეტი თოფებით, ტანკებით,
ზარბაზნებითა და ზამბურაკებით შე-
იარაღებულმა პოლონელმა გასწია

წითელარმიელი თავისთვის და-
სეირნობდა, თან უხტვენდა ღარდიმა-
ნდულათ. პოლონელი ჩამოხტა ცხენი-
დან და მიმართავს წითელარმიელს:

— ღვთისწყალობა!

წითელარმიელმა თვალები დააჭ-
ყიტა.

— რას მეუბნები თუ მამა ხარ გამა-
გებინე!

— ღვთისწყალობა მეთქი, ვერ გაი-
გა!

— რაზე მეუბნები ამ ღვთისწყალო-
ბას, ვერ გამოგია!

— აი, ამასწინეთ რომ ცხვირს და-
აცემინე—აღარ გახსოვს!

— შე ოჯახაშენებულო, შაგ ცხე-
ნითა მთელ სამ კვირესა ამ „ღვთის-
წყალობას“ მოსატანად დაჰქენაობდი?

— მერე რა? მარჯვე ცხენი მჯავს
თორემ სხვა უჩემოთ უფრო მეტ ხან-
საც მოუნდებოდა.

— რასა კაცო?

— ღვთისწყალობის მოტანასა.

— სამ კვირესა და ისიც ცხენითა
აღზოთ ღმერთთან თუ იყავი მართლა
თორემ...
და წითელარმიელი ისევ იცინის,
კვდება ხიცილითა.

ნადირი.

„დავლებული“

(აზრი ალბულისა)

მომხმელნი პირნი:

1. სანდრო — მძინარაშვილი — 28 წლისა;
2. ელენე — მისი ცოლი — 23 წლისა.
3. ნიკო — სახლების კომიტეტი — 30 წ.;
4. ალფეხი — დამზღვევ სალაროს აგენტი;
5. ათანასე — მღვდელი.
6. დამზღვევ სალაროს ექიმი.
7. ივანე — გამომცემლობის გამავ-რცელებელი აგენტი.

ელენე — ამდენხანს ქე გავიტანეთ თავი როგორც იყო, მაგრამ აწ რაღა გვეშველება, აღარ ვიცი! აი, დამზღვევნი სალარო სწორედ ჩვენთვის ყოფილა გაჩენილი. კაცო, მოიგონე რაიმე, კიდეც, თორემ ხომ ხედავ სადილი არა გვაქვს?!

სანდრო — რა ეშმაკი მოვიგონო, ქალო? (ფიქრობს) დაუბადებელი ბავშვის დასაბადებელი მივიღე; მისი ჩიძის ფული მივიღეთ; დასამარხი მივიღეთ; ძიძის მივიღეთ; ავადმყოფობის მივიღეთ; (იოვლის) დასაბადი დასამარხი, ჩიძის, ძიძის, ავადმყოფობის... სხვა რაღა დავგჩენია? უნდა დაგაბადებო, ქალო კიდეც ერთი ბავშვი.

ელენე — დამაბადებო, რაღა, კატა ხომ არა ვარ? წელიწადია — სამი ბავში დაგაბდე. ყველაფერი უწყრი-ათ; რომ გაიგონ?!

სანდრო — გაიგონ კი არა, ის არ გინდა... აბა, რა მოვიგონო რომ აღარ ვიცი?

ილენე — დაფიქრდი კარგად, მოიგონებ რამეს...

სანდრო — (ფიქრობს) მოიცა, მოიცა, მოიცა... მოვიგონე... მოვიგონე!

ელენე — რა? რა მოვიგონე?

სანდრო — აი, რა; ვითომ მე მოგ-ჯდო. შენ გაქეცი სახლების კომი-ტეტთან, აილე მოწმობა ჩემი სიკვდი-ლის შესახებ, წადი დამზღვევ სალა-როში და... დასამარხი ფული ხელში გექნება.

ელენე — კი, მარა დამარხვა რომ დაგჭირდება?

სანდრო — ჰერიპა, მოიგონა ამა-ნაც! ქალო, ცოცხალი გინდა დამმარ-ხო? ჩვენ ფულები ავიღოთ და მოუ-სვით აქედან, თორემ სულ ერთია — შევალეებს მაინც ვერ გადაურჩე-ბით.

ელენე — ეხლავე წავალ (გარ-ბის).

სანდრო — აი, დამზღვევნი სალა-რო რომ არ მოვიგონებოთ ამ ოჯახ-სკორებს, დევილუბეროდი კაცი! (შე-მოდის ივანე).

ივანე — გამარჯობათ! (უწყდის ხელს, სანდრო არ აძლევს) თანახმა

საბჭოს წინადადებისა, კულტ-თათბი-რის რეზოლიუციისა, პროტაქტივის ოქმისა და სოცდაზღვევის რჩევისა, — თქვენ მოვალე ხართ შეიძინოთ სოცდაზღვევის მიერ გამოცემული დებულებათა კრებული, რომელიც დამტკიცებულია და შემოწმებულია. ხელის მოწერითა და სათანადო ბეჭ-დის დასმით... აი იხეზეთ (აწვდის წიგ-ნაქს).

სანდრო — რაობრად მინდა შენი დებულებები?

ივანე — ამხანაგო, ეს ფრიად სა-სარგებლო წიგნია. თქვენ ამით შე-გიძლიათ გაიგოთ — რა არის სოც-დაზღვევა და რა დახმარებას უწყევს ის დაზღვეულებს. ღირს ექვსი აბა-ზი.

სანდრო — დამანებე ერთი თავი თუ ღმერთი გწამს. მე მაგაზე უკე-თესად ვიცი რა დახმარებასაც იძლე-ვა დამზღვევი სალარო.

ივანე — ამხანაგო, ყველა შეგნე-ბული მოქალაქე მოვალეა ხელი შეუ-წყოს ჩვენს გამომცემლობას, ეს თუ არ გინებათ, შეიძინეთ შრომის კო-დექსი (იღებს) ღირს 3 აბაზი.

სანდრო — არ მინდა, არა... გეს-მის — არ მინდა!

ივანე — აბა, იხეზეთ პროფსაბჭოს მეორე ყრილობის რეზოლიუციები. ღირს 5 შაურია... იაფია (იღებს).

სანდრო — მომცილდი თავიდან, თორემ მომბეგვინებ თავს ამ გაბრა-ნებულ გულზე.

ივანე — შენ შეუგნებელი ვინმე ყოფილხარ. მე მაგ საკითხს დაესვამ სადაც ვერ არს.

სანდრო — გამეცალე აქედან, შე-ნი მამის სულიც კი... (ივანე გარბის, კარებში ელენეს შეხედება და გაგორ-დება, შემდეგ ადგება და გარბის).

ელენე — რაღა ფხვებში მებო-რებოდა ეს გასაწყვეტები!

სანდრო — რა ქენი, ქალო, მოგ-ცა მოწმობა?

ელენე — არ სჯერავს, მგონია მიგვიხვდა... „თითონ მოვალე“ მით-ხრა... მგონია გავებით. რა უნდა ექნათ ასლა?

სანდრო — ნუ გეშინია, ქალო, მე დავწვები, ისე მოვიტყევ თავს, რომ მაგან კი არა, ეშმაკაც ვერ მიტოვს, ცოცხლად. შენ დამიჯექი ახლოს; ამოისვი ხახვი თვალებში და მორთე ტირილი. იცოდე კარგად მიტირე, ექ-ვი არავის ააღებინო... (წვება) დამა-ფარე ზეწარი... აბა ჩქარა; მგონია მოდის ვიღაცა... ღმერთი არ გაგვიწყ-რეს — ახლოს არაფერ მოუშვა.

ელენე — (აფარებს ზეწარს და მოსთქვამს). ვაიმე ჩემო სანდრო! რა მეშველება აწი? (შემოდის ნიკო).

ნიკო — (თავისთვის) ოჰო! ეს მარ-თლაც მომკვდარა! (ელენეს) რამე მო-კლა ეს კაცი, ასე უცებ? (მიცვალე-ბულს) მუშაობა მაინც გეზარებოდა და კარგი ადგილი მოგინახავს.

ელენე — რა ვიცი, შენი ჭირი

ნიკო! (მოთქმით) ადგა თუ არა მა-შინვე რაცხამ მოუარა და ქე დასაფ-სო თვალები... ვაიმე ჩემო სანდრო!

ნიკო (გადახედავს მიცვალე-ბულს) კარგიც უქნია, განთავისუფ-ლებულხარ ქალო (ჯდება).

ელენე — რაღა მეშველება, ძმაო, აწი? ვინ იქნება ჩემი პატრონი.

ნიკო — პატრონი კი გამოგიჩნ-დება, შენ თქვი რამე. (მიცვალე-ბულს) ეხლაც შეგვიწლი ხელს, შენ ეშმაკის ფეხო? (ელენეს) გასთვს — როგორ მოგვატყუო: „ორ ღღეს არ მოვალე“ და გამოთენეს ხანს კი მო-გვისწორო, მაშინ ცოლისგან იმდენი მომხვდა, რომ... (მიცვალებულს) სულ შენის მიზეზით, შენ ძაღლო, შენა! სიკვდილი ცოტაა შენთვის, სულ ლუ-კმა ლუკმად ასაქუწი ხარ.

სანდრო — ოჰო, კარგი რამე-ები მესმის.

ნიკო — (მიდის ელენესთან) ნუ სტი-რი, ქალო. არაფერი გიშავს. მე შენ ყოველთვის დაგეხმარები, ჩემო სიცო-ცხლევ. (მოხვევს ხელს და ჰკოცნის). სანდრო — (გამოყოფს თავს) ვაიმე, ვაიმე! რას ვხედავ ამას?!

ელენე — გრცხვენოდეს, ნიკო, რაღა სჩადიხარ (ხელს ჰკრავს).

ნიკო — ძლივს გველარსა თავისუფ-ლება და ახლაც არ მაძლევ ნებას?

ელენე — ჩუმად, მიცვალებული მი-სვენია.

ნიკო — ესევენოს მერმე, ჩვენ რას გეიშლის?

ელენე — ხომ იცი: მიცვალებული „სამ ღღეს ყველაფერს ხედავს და უყურებდა“.

ნიკო — მეტი არაა ჩემი მტერი მაგან ვერაფერი გაიგოს და დაინახოს.

ელენე — არა, ამბობენ აუცილებ-ლად გაიგონებსო.

ნიკო — გეიგონებს და გეიგონოს, ჩვენ ვერაფერს დავაგლებს და... (მო-ხვევს ხელს).

ელენე — კმარა. გეყოფა. გამიშვი ხელი.

ნიკო — კარგი, კარგი არაფერს გი-შამ. წამოდი, მოგცე მოწმობა (იმეო-რებს) ეძლევა ესე ელენე მძინარაშვი-ლისასა მასშინა, რომ მას გარდაცვა-ლა ქმარი. აი პირველი მოწმობა, რომელიც სიამოვნებით ვიძლევი (გა-დიან).

სანდრო — (წამოგარდება) ასეთი სი-კვდილისაგან ღმერთმა დამიფაროს. იმ კაცმა ცოლი ჩამიპროშტა, მე სუ-ლი და რჯული მაგინა და წავიდი. ზი-ამოვნებით იძლევა ჩემი სიკვდილის მოწმობას. არა, ეს ჩემი ცოლიც რომ აპყვა! აი, შენ როგაბო შენა, მომძი-რანდი სახლში. ჩუ ვიღაც ოხერი მო-დის მგონი! (დაწვება და ზეწარს წა-იფარებს).

ალფეხი — (შემოდის და უკვირს) შენ არავინ ყოფილა! საკვირველია სწორედ: ამ კაცმა ამ ერთ წელიწად-ში დამზღვევ სალაროდან სამხელ და-სამარხი მიიღო, ორჯერ ძიძის, ოთხი

ბავშსი დაბადების და აქ კი ერთი ბავშვიც არ კნადა. (გაიხედ-გამოიხედეს), ბიჭოს ეს მომკვდარა მგონია! (წაიწევეს მიცვალებულისაკენ).

ელენე—(შემოვარდება) თქვენ ვინ გნებას?

ალფესი—სანდრო მძინარაშვილი!

ელენე—(მოთქმით) სანდრო მოკვდა მისი ჭირიშვილი... და დამეცხო თვალენი, ამოვარდი კაცო!

ალფესი—მოკვდა?!

ელენე—დიახ, მოკვდა შენი ჭირიშვი, დავილუპე, მომესპო სიცოცხლე.

ალფესი—როდის მოკვდა ქალო?

ელენე—გუშინ საღამოს, გუშინ შენი ჭირიშვი.

ალფესი—ამ დღით რომ კარგად იყო? (იჭვინად გადახედეს).

ელენე—დღეს მოკვდა შენი ჭირიშვი, დღეს!

ალფესი—(თავისთვის) ეხლა კი მიგზღი, როგორც მოკვდებოდა... (ელენეს) მაშ დასამარხი ფული დაგჭირდება.

ელენე—მოწმობები მზადა მაქვს, შენი ჭირიშვი; უნდა დამეხმაროთ რაში?

ალფესი—ძალიან კეთილი. მობრძანდით, მიიღეთ. (გადის).

სანდრო—(წამოხტება და ჩამოუვლის ცეკვით). რა ჭენი ქალო, მეიტანე მოწმობა?!

ელენე—მოვიტანე, მაგრამ ექიმის მოწმობაც რომაა საჭირო?

სანდრო—დალაზვროს ეშმაკმა. (ფიქრობს) მოიცა, მოიცა... გუშინ წინ ექიმს ერთი ბეჭედ დასმული ზღაწი მოვბარე. აი, შეავსე. (აძლევს) აბა დასწერე.

ელენე—რა დავსწერო?

სანდრო—რასაც მე გეტყვი. (უკარნახებს):—ედლევა ესე ელენე მძინარაშვილისას მასშინა, რომ მას გარდაეცვალა ქმარი.

ელენე—რამე ავადმყოფობაც უნდა დავსახელოთ.

სანდრო—ავადმყოფობა? დასწერე კუჭის სიგანეგრე.

ელენე—მასეთი ავადმყოფობა რომ არ არსებობს?

სანდრო—შენ თუ ექიმი ხარ და იცი, დასწერე, რაღას შეკითხები?

ელენე—დავსწერავ „ჩუმი“, ეს ავადმყოფობა შესაფერია და სწრაფადც ჰკლავს კაცს.

სანდრო—დასწერე. უკეთესია არაგინ მოგვეკარება, — „ჭირი“ შეშინდებიან.

ელენე—დავსწერე. მზად არის.

სანდრო—ეხლა გაიქეცი დამზღვევ სალაროში და მიიღე ფული, იცოდე—თვალზე ცრემლი არ შეიშრო. ხანდახან იტირე კიდევ.

ელენე—შენ ჯავარი ნუ გაქვს. ისეთ მოთქმას დავიწყებ, რომ ჯირკსაც ავატირებ. (გადის).

სანდრო—არაფერი იოი იტყვის კაცი, მარა კი მოხერხება საჭირო არა, რა ჩემს ბელზე მოუგონათ ეს დამზღვევი სალარო. მაგი რომ არ იყოს, რა მეშველებოდა? დავბადე—მომეცი, მომიკვდა—მომიეცი, ვაჟამე—მიამეცი... იძლევიან და იძლევიან... ჩუ. მოდის ვიღაც! (წეება) რა საიარული აუტყდა ამ ოჯახს? თქვენი რჯულიც არ იყოს! (შემოდის ათანასე მღვდელი).

ათანასე—აქ არს უფალი, სახელოთა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ამინ... (მიიხედ-მოიხედეს) აქ უფალი კი არა, ეშმაკიც არ ყოფილა. (მეხედავს მიცვალებულს) ოპო, მიცვალებული?! (გადახდის) აფსუს რა ბიჭი ყოფილა! რომ მომცემდეს რასმეს, უწირავდი!

სანდრო—ეხლა ავი შემომიჩინდება.

ათანასე—(იწყებს ლოცვას) სულთათნა აღსრულებულსა მონისა შენსა, განუსვენე ღმერთი ჩემო სულსა მონისა შენისასა... არა ამ უპატრონო მკვდარს რომ უწირავ, რა ხეირია (დაინახავს პალტოს) ეს პალტო თუ მაგისია, არა უშავს—საწირავში წავიღებ.

სანდრო—ღმერთი გაგებრავს ისე, მაგი შენ გაგატანო!

ათანასე—(ჩამოიღებს და სინჯავს) არა უშავს! ახალია. (გადაიდებს მკლავზე) ღვთისმშობელო მარამ, ყოვლის შემძლე უფალო გვევძრები, რათა აცხოვნი სული ამისა. კარგა ხანია არ მილოცია და კიდევაც დამეწყებია. თუმცა სულ ერთია, აქ არავინ მიყურებს (აბრუნებს პალტოს) ალილუია, ალილუია. ჯერ კიდევ ახალია. ალილუია, ალილუია (მიდის კარებისაკენ).

სანდრო—(წამოყოფს თავს) დი-ტოვე პალტო. (ჩაწეება უცებ)

ათანასე—(შეკრთება) კურთხეულ არს უფალი! (მიდის კარებისაკენ)

სანდრო—დატოვე პალტო მეოქი (ჩაილაპარაკებს ისევ)

ათანასე—(მიიხედ - მოიხედეს) დიდ არს უფალო იოსე ქრისტე. ეს რა ხმა მესმის? ვამიღე კარნო სამოთხისაო! (აწეება კედელს კარების ნაცვლად)

ელენე—(დაინახავს მღვდელს) რა გინდა ხუცესო, შენ აქანე?!

ათანასე—არაფერი, შვილო, გავიგე მიცვალებული ჰყავსო და გამოვარე; უნდა მეწირა.

ელენე—აქედან გაეთრიე, თორემ მე შენ გიწირავ ისე, რომ ერთი ღმერთი წვერიც არ შეგჩიბა დასწევზე. ჩემს სანდროს რჯული და რწმენა არ სწამდა და არ ჰქონდა.

ათანასე—გაკურთხოს ღმერთმა, შვილო; მივდივარ. (აბრუნებს კარებში გასვლას).

სანდრო—პალტო დატოვე შე წვერებ დასაცალო (წამოვარდება და გა-

მოგლეჯს პალტოს).

ელენე—არაქა, დაწევა ჩქარა ეხლა დამზღვევ სალაროდან მოდიან ვასასინჯათ.

სანდრო—რაო! დამზღვევ სალაროდანო? არაქა, ქალო, დაფაცურდი. (ჩაწეება) ახლოს არავინ მოუშვა, გესმის? მორთე ტირილი.

ელენე—(მოთქვამს) ჩემო ძვირფასო სანდრო, რაფერ უცბად მომიკვდი?! (შემოდის ალფესი და ექიმი).

ალფესი—გარდაიცვალა ერთი ჩენი დაზოგეული ჩუმი.

ექიმი—ჩუმი?

ელენე—კი, ბატონო, ჩუმი მოკვდა შენი ჭირიშვი, ჩუმი!

ექიმი—საიდან იცით, რომ ჩუმა იყო?

ელენე—ისე ჩუმად მოკვდა, თქვენი ჭირიშვი, რომ უეჭველად ჩუმა იყო.

ექიმი—როდის გარდაიცვალა?

ელენე—დღეს დილით, ბატონო. ჩაიცვა ტანზე თუ არა, მაშინვე ამონდასული. (მოთქვამს) დამეცა ოჯახი—დამელუპა ჩემი სანდრო... რა მეშველება აწი. (ექიმი) თქვენი ჭირიშვი, ძომეცით დასამარხი ფული, თორემ რა უნდა ვქნა მე საცოდავმა?

ექიმი—ნუ გეშინიათ, ჩვენ ეხლა მკვას საავადმყოფოში გადავიტანთ, ამ საღამოს გაგჭრით და ხელო შეგიძლიათ დასაფლავოთ. ვინაიდან თქვენ ასეთი ღარიბი ყოფილხართ, კუბოს იქ გაუკეთებენ.

ელენე—არა, შენი ჭირიშვი, ჩემს მიცვალებულს ვერსად ვერ გაგატან, რაც მომიგა მომიიღეს; თქვენ შოლოდ დასამარხი ფული მომეცით.

ექიმი—წესი ასეა, ქალო: თუ ასეთი მიცვალებული არ გაგჭრით, ისე დასამარხის ნებას არ მოგცემ.

ელენე—აქვე რომ მომკლას მაგის ჭირმა, — მაინც ვერსად გაგატანო.

ალფესი—ექიმო, თქვენ არ შეგიძლიათ აქვე გასჭრა?

ექიმი—როგორ არა. რადგან წადების ნებას არ გვაძლევთ. აქვე გავსჭრით.

ელენე—მე არ შემიძლია მაგის გაჭრას ვუყურო!

ექიმი—თქვენ შეგიძლიათ არ უყუროთ. (ალფესის) გაიყვანეთ ეს ქალი აქედან.

ალფესი—მობრძანდით აქეთ (კიდებს ხელს).

ელენე—არ შემიძლია, ვერ მოვცილდები.

ექიმი—თუ არ მოშორდებით, მაშ უყუროთ... ეხლავე მოვრჩები, მე მხოლოდ გულს ამოვიღებ. (ამოიღებს დანას და მიუახლოვდება მწოლარს)

სანდრო—(წამოვარდება) ვიამე, მიშველეთ!

ექიმი—აი, თქვენი მიცვალებული!

სანდრო—(წამოავლებს სკამს ხელს) თქვენი მამის სული არ იყოს! (ექიმი და ალფესი გარბიან).

ფარდა.

ბ. თბოლი.

ჯეჯელხეთის

კუთხე



საქართველო
საბჭოთაი



გურორბი ახალა — ბარაპი გამხდარა

გურორბი ახალა, როგორც მოგეხსენებათ, გურჯაანთან ახლოს, ამ ახალი სამაზრო ცენტრის ზე კაკალ ჯარბეჭესთან მდებარეობს.

— „მდომარეობა ქმნის ქვეყნებს“ — ამბობს მარტო.

— მდებარეობა კი ქმნის შევსებას — დაცემენთ ჩვენ.

რაშია საქმე?

არსებობს ერთი რუსული ცოტა მოძველწილი და, როგორც ასეთი, დრომოქმული ანდაზა: „კურია ნე პტია, პრაპორშიკი ნე ოფიცერი“ — (ქათამი ფრინველი არ არის, ხოლო „პრაპორშიკი“ — ოფიცერი).

ეს ანდაზა არ არის სავესებით სწორი, რამდენიმე პრაქტიკული გახლდათ თვით თავის დროზე კი. ქათამიც ფრინველია და „პრაპორშიკიც“ — ოფიცერი გახლდათ, სანამ ნიკოლოზი ნიკოლოზობდა, ასე წარმოიღმინეთ მას ქვედა საფეხურიც კი გააჩნდა, „პოდპროპორშიკების“ სახით.

როგორც ვიცით, „პოდპროპორშიკები“ დიდ როლს თამაშობდნენ ეგრედ წოდებულ საერთაშორისო ომის პერიოდში. და თუ ბრძოლის ველზე ვერ იჩენდნენ მაინც და მაინც დიდ უნარს, სამაგიეროდ, რუსეთის ყოფილი იმპერიის უამრავი ქალაქების ქუჩებზე ეგრედ წოდებულ ახლად გამოქცეულ „პოდპროპორშიკ“ — „პროპორშიკების“ მთელი ლეგიონები „მოღვაწეობდნენ“ და ვნით გამოუთქმელ ამავსა სდებდნენ ეგრედ წოდებულ „ქალთა საკითხს“ გადაჭრას.

ეს დებულება რომ სხვაანაირად გამოვსტყვათ, გამოვათ, რასაც იდეალი ჰქონდა მაშინდელ სინამდვილეში, ე. ი., ქალთა თვალშესწორება „პროპორშიკი - პოდპროპორშიკების“ მოქნილ მხრებზე ელვარე ახალთ ახალი, ნიჭალწულიანთა თვის უმბარი ეპოლეტები.

ეს ანდაზა და მასზედ მყოლებული კომენტარები აქ იმისათვის მოვიყვანეთ, რომ გვეტყვა: გურჯაანი სამაზრო ცენტრია, მაგრამ არც არის ცენტრი.

მართალია, ცენტრი ზოგჯერ თვალთ დაუნახავ წერტილშიც კი თავსდება, მაგრამ სამაზრო ცენტრს, მარტო ცენტრობის გარდა, ესაჭიროება კიდევ შესაფერი ნაგებობაც, დაბისა ან ქალაქის სახით.

აი, სწორედ ეს „თვისება“ აკლია ჯერ-ჯერობით გურჯაანს.

ქალაქის სხვა ნიშნობილი თვისება კი გურჯაანს, მოჭედავით იმისა, რომ ის ჯერ კიდევ უბრალო სოფელია. უხვიდ მოეპოვება.

ავიღოთ მაგალითისათვის ტალახი.

როგორც ვიცით, სამაზრო ქალაქს თითქმის ყველგან ახასიათებს ეს უკანასკნელი „თვისება“ — ტალახი.

მაგრამ, თუ რომელიმე სამაზრო ქალაქს შეუძლია დაიკვეხნოს ტალახი, ასე ესტყვათ, „კოვზით“ გურჯაანს მისი დარბაზებზე შეუძლია „გობით“ და, თუ გნებავთ, უზარმაზარი ვარცხლილაც!

სხვა რომ არა იყეს, ახალა ხომ ზედვე აკრავს ამ „ქალაქს“:

მართალია, ახალა სამკურნალო ტალახი და მასში სხვა სამაზრო ქალაქების ტალახზე არა ნაკლები სიამოვნებით „იქვანქლებიან“ (ისერებიან) სხვა და სხვა მხრიდან აქ მოსული ადამიანები, მაგრამ ამ ტალახში „ქვანქლასაც“ აქვს თავისი ხელის შემწყობი თუ ხელის შემშლელი პირობები.

ერთი ასეთი პირობათაგანია — ბინები ტალახით მოსარგებლეთათვის.

დღემდის ასეთი ბინები, ავით იყო თუ კარგათ, მაინც არსებობდნენ ახალაში, უბრალო ხის სახელდახელოდ აგებულ კარვების სახით და ზაფხულის სეზონში მაინც შეიძლებოდა მათი გამოყენება ავადმყოფთათვის.

მაგრამ, რა რომ გურჯაანში გადმოტანილ იქნა არა მარტო ერთი, არამედ მთელი ორი ცენტრი, ამ კარვებსაც გაუჩნდათ მუდმივი ბინადრები, სამაზრო ცენტრალურ დაწესებულებათა თანამშრომლების სახით, რომლებიც მოთავსდნენ ამ კარვებში სრულიად ჯანსაღნი.

გარეშე მნახველს ეგონება, ახალაში საზამთრო სეზონი გაუქმდა და ავადმყოფთათვის სახელ-დახელო „თბილი“ ბარაკები მოუწყვიათ, როცა დანახავს რკინის ფეხების დაყუდებული მიწებისაგან მოწირხე ბოლს.

რა თქმა უნდა, ბარაკი აქ არაფერ შუაშია, როცა ასე სახელ-დახელოდ ამ კარვებში დაბინავებულებს თავები სრულიად დაცული მაინიათ, როგორც ყოველგვარი ტალახიდან (მათ შორის ახალის ტალახიდანაც), ისე წვიმისა, თოვლისა, ყინვისა თუ ზუზუნების სხვა მოვლენათაგან. თუმცა ქარი, ამ მოვლენათა შორის ეს ყველაზე ანკი არსება, აქაც კი არ იშლის თავისას და „ბარაკის“ საბინაო ერთეულებშიც ისე თამამად შედი-გამოდის, როგორც თვით მათი ბინადრები.

საკითხავი მხოლოდ ერთი-და რჩება: ზაფხულის სეზონი რომ მოვა, კარვებში ისევ „ბინადრები“ დარჩებიან თუ დაუთმობენ მათ ავადმყოფებს, კარვების ამ კანონიერ მომავალ მდგომარეობას?

ბარაკი იმითმე არის „ბარაკი“, რომ მასში თამამად თავსდება ორი სხვა სიტყვაც: „არა“, „კი“.

კორესპონდენტ ე. კ-სთან ერთად, ჩვენ „კი“-ს ვიტყვით, თუმცა გურჯაანის სააღმშენებლო პერსპექტივებს ამაზე არა ნაკლები უფლებით შეუძლიათ განაცხადონ თავიანთი ავტორიტეტული — „არა“!

ბინიდან — შინამდე, ორზაბათი დილაგდე

ძველად იტყოდნენ ხოლმე: „ყველაზე უფრო სწრაფი ვინაა და...“ შინ გაქცეული გლეხი“.

ეს ანდაზა ეკუთვნის ეგრედ წოდებულ ბატონ-ყმობის ხანას, უკეთ იმ დროს, როცა ბატონ-ყმობის გადავარდნის შესახებ სანატრელ ცნობას ყურმოკრული გლეხები მასიურად გარბოდნენ ბატონების კართაგან.

მართალია, თელავის და სიღნაღის მხრები შეერთდა მთლიან კახეთად და ისიც გურჯაანის მეთაურობით, მაგრამ ამით დროება ბატონ-ყმობის ხანას არა თუ არ მიანლოვებია, უფრო მეტად დაშორდა კიდევ, და ისიც დაშორდა ყოველმხრივად.



არც მძას უშავს, თუ გურჯაანი ჯერ-ჯერობით, როგორც სამაზრო ცენტრი, მოუწყობელ - მოუგვარებელი, ერთი სიტყვით, თავმოუყრელია. სამჭოთა წყობილების ხელს ასეთი მოუგვარებელი საქმის სასწრაფოდ მოგვარება და თავ-მოუყრელის თავის მოყრა სრულიადაც არ გაუჭირს.

ერთი მოვლენა არის მხოლოდ ამ მხრივ მეტის მეტად დამაოივნებელი და თანაც უნუგეშო. სახელდობრ: როგორც ორი სამაზრო ცენტრის ორ-ორ დაწესებულებათაგან გურჯაანში თითო ასეთსავე დაწესებულებაში ბუნებრივად გადმოყვანილი და ხელოვნურად თავმოყრილი თანამშრომელნი ზოგი თელაველებია, ხოლო ზოგი — სიღნაღელები.

ეს სიღნაღელი თუ თელაველი ამჟამად უკვე გურჯაანს გაერთიანებულ დაწესებულებათა თანამშრომლები თრშაბათიდან შაბათამდე სტკებებიან ერთობის ექტაზითა. მაგრამ შაბათს დაჰკრავს თუ არა 3 საათი (ზოგი ბოროტი ენა ამ ვადას რამდენიმედ ამოკლებს იმის და მიხედვით, თუ რომელი მხრით რა დროს გამოვიდის აქ ეგრედ წოდებული „შუადღის მატარებელი“), ეს ექვსი დღის დაურღვეველი ერთობით დამტკბარი „თანამშრომლები“ გიჟებოვით გამოიჭრებიან ხოლმე თავიანთ დაწესებულებებიდან და დარეტიანებულებივით გარბი-გამორბიან ვინ სიღნაღის და ვინ თელავის მიმართულებით და იმავე მიმართულების მატარებლებისაკენ.

კორესპონდენტი ე. კ., გვაუწყებს რა ყოველივე ამას, დასძენს, რომ „თანამშრომელთა“ ასეთი ქცევა ლოზუნგის ეგრედ წოდებული „პირი სოფლისაკენ“-ის ცხოვრებაში გატარების განზრახვით არის გამოწვეული.

ამაზედ ჩვენ სამართლიან შევნიშნეთ: „ამხანაგო ე. კ. ეს ზომ პირი ქალაქისაკენ გამოდის და არა სოფლისაკენ-თქმა“.

მაგრამ მან, იცით, ამაზედ რა გვიპასუხა: „დროთა ვითარებაშია გურჯაანი, რომელიც ახლა სოფელიაო, უნდა ქალაქად იქცეს, ხოლო სიღნაღი და თელავი კი, პირიქით — სოფლებადო“...


პარტი სოფელია როსი, მხოლოდ აკლია სამკითხველო ჰოსი

გურულები იტყვიან ხოლმე: „ეს ქვეყანა „აროხვილია“-ო (უწესრიგოთ მიყრილ-მოყრილი), მაგრამ ამის ავტორს რომ სოფელი როსი (ქუთაისის მაზრა, გორას თემი) ენახა, უეჭველად შესცვლიდა თავის განზრახვას და თქმულებას ან არ გამოაქვეყნებდა ან პირიქით შეაბრუნებდა.

ს. როსში ყველაფერი რიგზე ყოფილა: სკოლა, გზები, ფოსტა, ტელეფონი, ახალი ყოფა-ცხოვრება როგორც ამას გვაცნობებს ჩვენ პატივცემული ჩვენი კორესპონდენტი შ. ალხენო.

მაგრამ ერთი უბედურება როსსაც სჭირებია: ქოხ-სამკითხველო არა ჰქონია ამ ყოვლად კულტურულ სოფელს.

სამაგიეროდ, ერთი ბედნიერება ისე თავისთავად მოჰგორებია კარებზე: ორი ეკლესია ჰქონია და დღეს ორივესი შენობა ღებდა წვიმისა და თოვლში, რადგან პატრონი და გამკითხავი არა თუ ერთაგანი აღარავინა ჰყავთ ამ ეკლესიებს, სადაც, ქუდიც რომ შეუღდოთ, შიგვრავის ვერ შეაღდენიებთ ფეხს, არამედ ასეთები მღვდე-



ლთაგანც კი არავინ არ მოიპოვებდა სოფლად, ვინაიდან იქიდან უკვე თავის დროზე სულ კეტის რტყმით დაუფ-

რენიათ, თუ ვინმე მღვდელი ან დიაკონ-მნათე-პატრონი კი მოიპოვებოდა სოფლად.

საოცარი, საეგლოლო რომ არ იყვეს, ის-და-არის, რომ ესოდენ კულტურულმა სოფელმა, როგორც არის სოფელი როსი, რისთვის ვერ დაიდგა ერთი სამკითხველო ქოხი, თუნდაც ამ ორი ელკესიის შენობის მასალისაგან?

მარან ჯალის ბაზარი, პარმენ არი, რაც არი!

ზევით ჩვენ ლაპარაკი გვქონდა სამაზრო ქალაქების ქუჩებში ჩვეულ ტალახის შესახებ. მაგრამ ტალახსაგან არც სასოფლო ბაზრები არის დაზღვეული.

ავიღოთ მაგალითისათვის ს. მარან-ქალის ბაზარი. ამ ბაზარში კაცს ვერ გაუვლია ისე, რომ კისრამდე არ ჩაეფლას ტლაპოში. (ნეტავი, ეს საანატრელი ანტალის ტალახი მაინც იყვეს ეს ტლაპო!).

იქნება მკითხველს ეგონოს, რომ მარან-ქალელი ბაზარში ზარმაცია ან დაუდევარი, თორემ შიგ კაკალ ბაზარში (შალვა დადიანის გამოთქმით რომ ესთქვათ „კაკალ გულში“) ტალახი ასე, როგორ მოსთავებდა მათო...

ჰმ! ხალხი აქ არაფერ შუაშია. იგი არც ზარმაცია და არც დაუდევარი. ეს, თუ გნებავთ, იქიდანაც სწანს, რომ ბაზრის ქუჩის შესაკეთებელი ფული ხალხმა უკვე დიდი ხანია უკლებლად ჩააბარა პარმენ კომისარს...

მოგესხენებათ, კომისარი თუ თანამედროვე „ზომის“ არი, ე. ი., ინტუსტრიულიზაციის ტემპის საკითხი საფუძვით შეგნებულ აქვს, თანახმად მე-15-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა, მაშინ ქუჩის შეკეთება არა თუ არ ჩამორჩებოდა ფულის აკრეფვას, არამედ დაასწრებდა კიდევ ან უკიდურეს შემთხვევაში ერთად მოსრულებდებოდა.

როგორც ხედავთ „ზომის“ საკითხი იგივე შეგნების საკითხი ბრძანებულა. ყოველი შეგნება კი, თავის მხრივ, ხწაფლასა და ცოდნას მოსდევს ხოლმე თან.

ცხადია, პარმენ კომისარს ასეთი შეგნება ანუ ცოდნა, იგივე სწავლა, აკლია. ვინ იცის, იქნება იგი ამჟამად თავსაც კი ამტკრევდეს მეცნაერებაში ერთ-ერთ ჯერ კიდევ გადაუტყრელს საკითხს, მაგალითად: კვერცხისა და ქათმის წარმოშობის საკითხს.

— რომელი გაჩნდა უწინ: კვერცხი თუ ქათამი? სვამს კითხვას პატივცემული კომისარი.

— კვერცხი! — ავტორიტეტულად უბასუხებს კომისარი პარმენი.

— არა, ქათამი! — არანაკლებს ავტორიტეტით ეუბრება პარმენს იგივე კომისარი პარმენი.

მაგრამ კვერცხსა და ქათამზე ხომ არ გაიყინება კაცის ტვინი და ისიც კომისარს? მართალია, ზამთარი კია, მაგრამ სწავლისა და ცოდნის მიღების ასეთი ცხოველი სურვილით აღზნებული გულის გაყინვა ას გრადუსიან სიცივისაც კი ვერ ძალუძს.

და აი, კვერცხისა, და ქათამი! წყეროდან კველაგ-ძიების გეზი პარმენს გადააქვს ქუჩისა და ფულის საკითხზე.

რომელი უნდა მოეხადინო უწინ: ქუჩა უნდა შეგაკეთოთ თუ ფული უნდა შეგახვეტო? სვამს კითხვას კომისარი პარმენი.

— რა თქმა უნდა, ჯერ ქუჩა უნდა შეგაკეთო (უკეთ რომა ვთქვათ, შეგაკეთებინო, რადგან კომისარი თანახმად ხალხის თქმისა არ იყვეს — „ბარი სხვისა, შოლტი ტყისა, გაჰკარი და გაუძახე, შენი რა დაიხარჯვას“-ო, თვითონ არაფერს არ აკეთებს. არამედ ხალხის ფულით მხოლოდ სხვებს აკეთებინებს!) ხოლო შემდეგ ფულები აიკრიფო — სამართლიანად აცხადებს პატივცემული კომისარი პარმენი.

— არა, ქუჩა რას მიქვია, ჯერ ფული უნდა შეგაქურო — მოსწრებულად უტრის სიტყვას პარმენ კომისარს იგივე კომისარი პარმენი.

ცხადია, ვერც ამ დებულებაზე გაიყინება კომისარის ცოდნის წყურვილით აღზნებული გული. მხოლოდ გოხერი ფული... ესე იგი, მოვა გაზაფხული და ქუჩა შეიძლება თავისთავად გაშრის... ამაზე ამბობენ:

„პარმენს დაავიწყდა ქუჩა, მხოლოდ ფული შეაქუჩა“-ო.

სადგ. ქარელი

— წერ...! — გაისმა ტელეფონის წერიალი, მაგრამ პასუხი არავის გაუცია, სადგ. სერა ისე მაგრად ჰყვიროდა, რომ სადგ. ქარელის სადგურის დარბაზში გარკვევით ისმოდა:

— ააა! დაგეცეთ სახლი და კარი; მოგეკიდათ სუყველას ცეცხლი... ქარელი... ქარელი!


— ჰო, ჰო, მე ვარ, მე... — ჩასძახა ქარელის სადგურის უფროსმა. — ქარელი ვარ, ქარელი!

— ამოვარდა შენს ოჯახში ქარი

— ხო, ხო! — გაისმა ბურტყული და მორიგე მისრე, ოგვე „სადგურის უფროსი“ გარედ გამევიდა.

ტარტაროზს კიდევ გაუკვირდებოდა: „სად მისრე და სად სადგურის უფროსი?!“ მაგრამ ეს ყოველ დღიური მოგვინა სადგ. ქარელის ცხოვრებაში.

თუ თქვენ ამ დროს სადგურის უფროსის (ციტაიშვილი) ნახვა მოგინდათ, შემბრძნით ადგილობრივ სამიკიტნოში და იქ რომ წითელ ქუდიანს დაინახავთ რკ. გზ. ფორმაში,



ციტაიშვილი (მატარებელს): — დაიცადე, ჯერ არ შემოხვდები; ღორები და ბატები არ დამიფრთხო.

და ზღვა... კაცო, ტელეფონი დავამტვრიე და თქვენს ვალდებულებას საშველი არ დაადგა. გესმის, ალექსი; კიდევ ხომ არ ჩამოგეძინა?... მორიგე სად არის?

— სად არის და ეშმაკებში; რა გიცი მე სად წავიდა. გასაღები მე მომცა და თვითონ ალბად ჩასაღველად გადავიდოდა და ქე მოვა სალაშოზე.

— კაცო, 10-ზე წამოვიდა მატარებელი; არ დაგეძინოს, მარჯვედ იყავი, მორიგე, სამსახურმა მოგჭამა კირი...

აი სწორედ ის იქნება და... სტაციით ხელი.

ნადირობა(კ) უყვარს ჩვენ „ნაჩაღნიკს“, არა მარტო ქალებზე, არამედ ღორებსა და ბატებზედაც. მართალია: ეს ღორები და ბატები გარეული კი არა, არამედ ადგილობრივი გლეხობის არიან, მაგრამ სიმსუქნით მათ არ ჩამოუვარდებათ.

იცის გემო. (ერთხელ ხომ არ ჩაუსვლებია ყელი მათი მწვადებით).

№ 100.

ოზურგეთი

მომისმინე, ტარტაროზო, ამზავს შევხდი წუხელ უცებს — ჩუმად კრება მოეწვიათ: ვაჭრებს, მღვდლებსა და ნახუტებს. დღის წესრიგის მოძებნაში გაიმართა სუჯა-ბაასი, სერგო უჭერს მხარს ალფესის, თითბადეს კიდევ ასი. როგორც იქნა დაამტკიცეს დღის წესრიგი კითხვა ერთი: „არჩვენებში ხმის შოვნისთვის შეგვეწყვა მამა-ლიმერთი“. მაგრამ ზეზე წამოიჭრა ჩაგლეშვილი საქმის „სპეცია“. მომხსენებელს მიაძახა: „ბრმა ყოფილხარ, თანაც ბეცი! რად არ იცი, რომ მთავრობა დღეს ჩვენ გვდენის ყველა ვაჭრებს?! საბჭო არა, — თავს ვუშველოთ, გავუფრთხილდეთ ძველ-ძველ ნახუტებს.“

მაგრამ მაინც საბოლოოდ თუ კი ისევ გვითხრეს უარი, — კომისიას გავუგზავნოთ ჩვენი თომა ნახუტარი. ეგებ იმას, ვით გაკრეჭილს ქე დაუდლოს ვინმემ ყური... (არ შეგუპოვოთ ისევე ჭირმა, არ მოგაკლდეთ ესეც პური!) „წილაც მოდის, დავიშალოთ!“ — მესმა მათი ხმები ჩუმი... გავიხედე... არსად იყო მღვდელ-ვაჭრების ჩამი-ჩუმი

„კაჟი“.

ლიბანის სანატორიუმში

ჩვენს ლიბანში ავთანყოფი თავს გრძნობს ნამდვილ სამოთხეში. შრომისაგან დაქანცული მოიკეთებ სამ-ოთხ დღეში.

არა გვგონია — აგარაკი სადმე იყოს უკეთესი... ყველაფერი კარგად იყო როგორც არის როგორც, წესი...

კარგად იყო ყველაფერი, მოვიდოდა სანამ ლიუბა... (ტარტაროზო, მოგვისმინე, ბრაზი გულზე დაგვეგუბა!).

ბათომიდან მოდის ლიუბა (პლუჟნიკოვა — გვარი მისი)... ამ ქალს აღარ შერჩენია არც ნამუსი, არც სინდისი.

მაქანკლობა გაჩაღა... თვისი კბილი ვის არ ასო... და შეიქნენ მისი მსხვერპლი ტანია და ჩვენი ვასო.

მას დამეჭაშა ბევრი ჰყავდა: ალიოშა, ვარლამ, მიშა, ბათომიდან არ გამოგვრჩეს გაბუნია... დიახ, გრიშა...

აღარ გვკონდა მოსვენება, ბრაზი გულზე დაგვეგუბა და... საჩქაროდ მიაბრძნეს ლიბანიდან ქალი ლიუბა.

87 გულა.

ცნობათა მიღება

თათარს: — თქვენი „გამოცდილი კაცი“ ასე თავ-
დება.

...ისინი კი სწრაფი ტემპით

წავლენ დაბლა, ძირსა...

იმათ შესახებ რა გითხრათ, და თქვენი წერილი კი
სწორედ მასე მიოქცა.

ვინანსისპირაში (გურჯაანი, საყუდი): თუმცა
თქვენს წერილში ჩვენთვის ბევრი ალავია გაუგებარი, მა-
გრამ მთავარი მაინც გასაგებად არის დაწერილი.

გაჩნდა აჟალ-მეჟალი,

ინტრიგა და შურია.

სუხი რომ მოიშორონ

ყველას ესა სწყურია.

შე კაი კაცო, ეს ხალხი ჯვარდაწერილ ცოლს იშო-
რებს, და თქვენ რა ასე გაგიჭირდათ სუხის მოშორება!?

რათიღ დავხატოთ ამ ამბავზე:

მსიპას (შემოქმედი, გურია): — გვთხოვთ, სუ-
რათიც დავხატოთ ამ ამბავზე:

მთვრალი იყო იბოლიტე

(თავმჯდომარე გლეხკომისა)

კვლავ ესტუმრა სასადილოს,

ქამა სურდა ცხელ ღვინოსა.

დაინახა მან ქოთანი

და დაავლო სწრაფად ხელი;

წაიქცა და შიშველ თავზე

გადაესხა ბორში ცხელი.

კაცს ასეთი უბედურება დამართია, და თქვენ კიდევ
გინდათ მისი დახატვა!

ზმელს (ჩოხატაური): — მან იკითხოს ამ სიცივეში,
თორემ შენ რა გინდევლება თუ:

ამას წინად ყარამანი

ქმა-ბიჭებში დათვრა კიდევ.

პალტო სადღაც დაეკარგა,

საშიშია არ გაცივდეს.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ „კოსტას მეტი სიფ-
ხიზლე ჰქონდა, თორემ ქურდები ძილში მასაც მოი-
პარავენ, — ეს გაფრთხილება მართლაც საჭიროა.

მაშინ რაღა გვეშველება,

გლეხებს მედგრად ვინ უყვირებს?

აბა, ისე, კოსტას სიტყვით:

„რას შეასმენ სოფლის ვირებს!“

რამ? ეს გინ კოსტა ყოფილა ასეთი, რომ:

კოსტა, ძმაო, სხვა ვინმე,

ხმას ვინ ვასცემს — არის ღმერთი.

აქ ცხრა წლებში მასწავლებლად

კვლავ მოაწყო შვილი ერთი.

შეგეტყობინეთ — საბჭოთა არჩევნების დასრუ-
ლების შემდეგ კოსტა რა გუნებაზე იქნება.

წითელ გულს (საჭილაო): — თქვენ გვწერთ, რომ
საჭილაოს ქარხანაში:

დანიშნული პრემია

ყველას თავისი ჰგონია.

იძახიან: „ჩემია“...

გაიმართა ომია.

ნუ თუ თქვენი ქარხანა ერთა ღივასავით უძლუ-
რია, რომ არ შეუძლია ამ „ომის“ მშვიდობიანად მოგვა-
რება? წერილიც პრემიით გადავეცით ჩვენს უფსკერო
გოდორს.

სალ-კლდევალს: — თქვენი ლექსი ასე იწყება:

მისურს თავი... ამდის ბული

დამადევით თავზე ბურღი.

გახვრითეთ და გამოცვივა

სამი ფუთი ხმელი თივა...

ჩვენ გეთანხმებით ერთ რამეში — თავში თივა გაქვთ,
მაგრამ არ შეგვიძლია დაგეთანხმოთ თითქოს, ასე დიდი
რაოდენობით იყოს ეს თივა თქვენს თავში. სამი ფუთი

თივა უფრო სასარგებლოა, ვიდრე ზოგიერთების თავში
მთაცხვებული ტყინი.

რაც შეეხება იმას, რომ გიჟურთ თავი, აგდით ბული,
— ეს მართლაც, დამადვირებელია! ამ ზამთარში რომ
თავი გიხურთ, რაღა მოგივა თქვენ ზაფხულზე, როცა
თივამ უფრო მეტად იცის „შესურება“.

იოზს: — მართლაც იოზის მოთმინება უნდა ჰქონ-
დეთ, რომ ისევე განაგრძოთ „პოეტობა“.

თუმცა ჩემს ნაწერს გოდორში

ყველას უკარი თავია, —

მაგრამ გულს მაინც არ ვიტენ

და ხელს არ ვუშვებ კალამსა.

ასეთი არის ყოველი

პოეტ-მწერალის ბედა....

მაგრამ დადგება დრო-თამი.

და მეც მიქნება ფასია.

არა გვეგონია, რომ ოდესმე ასეთი დრო დადგეს, და
რომც დადგეს, თქვენი ფასი კიტრის ფასს (შემოდგომის
კიტრის ფასს) ვერ წააცილებს.

ახლოვების (ოჟურგეთი): — საავადმყოფოს გზა-
რეულების შესახებ, გვწერთ:

ვარდენი და აგრაფინა

პოვრება ჩვენი;

ავადმყოფებს მხოლოდ გვრჩება

მონარშული წვენი.

აგრაფინა იქ მახლობლად

სუკს უგზავნის ნაცნობს.

(თუმცა მოუხსნის მას ულუფა,

მაგრამ მაინც არ სცნობს!).

სავადმყოფოს აღმინისტრაციამ უნდა გამოიკვლიოს
— მართალია თუ არა, რომ, როგორც ამას აგრაფინა ამ-
ბობს: „ავადმყოფებს აწყენს ხორცი, მათ წვენი მეტი
არაფერი ექმნებათ“-ო. (კარგი მოტივია თქვენ ნუ მო-
მიკვდეთ!).

„შაპო“-ს (გიათურა): — მოგვაწოდეთ მასალები
აღვილობრივ ცხოვრებიდან. თქვენი წერილი მოვისმინეთ,
აღბად, რაიმე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

შოლტს (ოზია): — ასეთი ლექსის დაწერისათვის
არც თქვენ გაწყენს შოლტი, არა თუ თქვენს ექიმს, რო-
მელიც

თუ ღვინოს ხედავს სუფრაზე

(სმის დიდი მოყვარულია),

არ ინახულებს ავადმყოფს,

თუნდაც ნ დებოდეს სულია

არც აფთიაქის გამგე ყოფილა დიდი ბედ-დოვლათი;

აფთიაქში როცა შედის

ქალამნითა გლეხი,

გამგე ისე აფეთქდება,

როგორც ცაში მენი...

ამაზე იტყვიან: „ფერი ფერსა მადლი ღმერთსა“.
ასეთ პირობებში, მართლაც, რაღა მკურნალობა ექნება
ოზიის გლეხობას?! შოლტი კი არა, სახრე ყოფილა აქ
საჭირო!

შეუდრემელს: — „სანამ არ დამიბეჭდავთ ერთ
წერილს მაინც, მანამდე არ მოგეშვებით“-ო. გვწერთ თი-
თქმის მუქარით. თქვენი იკითხეთ, თორემ ჩვენს გოდორს
რა უჭირს. წერილის ბოლოში აწერთ თქვენს ნამდვილ
ვინაობას, საიდანაც სწრაფად მოგვითხრობთ თქვენს
აღბად თქვენს ყოფილ თქმულს: „ასი ურტყი დავითა-
სა, მაინც იზამს თავისასა“.

ვიპაშელას (სამტრედიო): გვწერთ: ისეთი ძლიერი
ქარი ამოვარდა, რომ...

ქარი ქრის, ქარი გრიალებს

ასკდება არე-მარესა.

ხან შეიჭრება ბუხარში,

ხან მოასკდება კარებსა.

ეს სტრიქონები კარგია, მაგრამ ეს ხომ თქვენ არ
გეკუთვნის?

„ჭამბურგის ანგარიში“ გასწორებულია

ბოლოს და ბოლოს მწერლობაშიც უნდა შემოღებულ იქნას ე. წ. „ჭამბურგის ანგარიში“ და უნდა შედგეს მწერალთა წასვლა სამწერლო ასპარეზობაში (პ. ქიქოძის მოხსენებიდან)

ნახ. ნადარეშივილითა



შხედარი — ბაჟოსაქენ... სახედარი — ჟუნიტისაქენ.